



CABOZANTINIB - CABOMETYX®

რა არის CABOMETYX-ი

მოლეკულის აღწერა	აღწერა
კაბოზანტინიბი	20 მგ ტაბლეტი: მრგვალი, ყვითელი 40 მგ ტაბლეტი: სამკუთხა, ყვითელი 60 მგ ტაბლეტი: ოვალური, ყვითელი 

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის მგ/დღეში, ანუ მგ-ანი ტაბლეტი, რომელიც უნდა მიიღოთ ერთ მიღებაზე, ყოველდღე.

ტაბლეტები გადაყლაპეთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაქუცმაცების, გატეხვის, დაღეჭვის ან განზავების გარეშე. მიიღეთ ფიქსირებულ დროს. მიიღება კვების გარეშე: 1 საათით ადრე კვებამდე ან კვების მერე 2 საათის შემდეგ.

თუ დაგავიწყდათ მიღება: მიიღეთ 12 საათის განმავლობაში შესაბამისი დოზა. გამოტოვების ან ღებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ერთხელ დღეში, ფიქსირებულ დროს, კვების გარეთ	 <1 სთ 2 სთ>	 <1 სთ 2 სთ>	 <1 სთ 2 სთ>
უნწყველივ	დ1 დ2 დ3 დ4 დ5 დ6 დ7 ... დ28		

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდება შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და წინასწარ დაგეგმეთ თქვენი რეცეპტის განახლება.

შეინახეთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის საერთო ანალიზი, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის მაჩვენებლებს, ღვიძლის, თირკმლის, პანკრეასის და ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციებს, სისხლში შაქრისა და ლიპიდების დონეს, ზოლები შარდში ცილების დასადგენად) და კლინიკურ მეთვალყურეობას (არტერიული წნევა, ელექტროკარდიოგრამა).

კონტრაცეფცია



ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და დამატებითი მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

CABOMETYX®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ

მაგალითი: CABOMETYX®-თან ერთად არ მიიღოთ კრაზანა და გრეიფრუტი.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: დიარეა, გულისრევა, მადის დაკარგვა, გემოს შეცვლა, პირის ღრუს ანთება (პირის ღრუს წყლულები), ღებინება, ნონის დაკლება, კუჭის შეკრულობა, მუავა რეფლუქსი. კანის დარღვევები: ხელისგულების, ფეხის ტერფების და ხახუნისადმი მგრძნობიარე ადგილების ანთება (ხელ-ფეხის სინდრომის) ბიოლოგიური ანალიზის დარღვევები: თრომბოციტების დაბალი დონე (თრომბოციტოპენია) ან ჰემოგლობინი (ანემია), ღვიძლის ან ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევები, კალიუმის ან მაგნიუმის დონე. სხვა: მაღალი არტერიული წნევა, დაღლილობა, სისხლდენა, კიდურების შეშუპება, ხველა, ხმის შეცვლა
ზოგიერთი გვერდითი მოვლენები განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს	ჰიპერ- ან ჰიპოგლიკემია დიაბეტიანი პაციენტებში
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	მაღალი არტერიული წნევის მაჩვენებელი სიმპტომები > თავის ტკივილი, ყურებში ზუზუნი და/ან თავბრუსხვევა > დასაშვები ციფრების ზრდა არტერიული წნევის გაზომვისას გულის პრობლემის მაჩვენებელი სიმპტომები > სუნთქვის უკმარისობა, გულის აჩქარება, წნეხი გულმკერდის არეში სისხლდენის ან ფლუიდის სიმპტომები > სისხლი განავალში ან ღებინების დროს > სისხლჩაქცევები (სილურჯეები), ცხვირიდან სისხლდენა > შენითლება წვივის არეში, ტკივილი და შეხურება ინფექციის მაჩვენებელი სიმპტომები > ტემპერატურა > 38,5 °C მომნელებელი სისტემის დარღვევები > ნონის სწრაფი და/ან მნიშვნელოვანი კარგვა > ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტჯერ კუჭში გასვლა > პირის ღრუს ტკივილი ან წყლულები, რომლებიც ხელს უშლის ნორმალურ კვებას > ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში > გამონადენი, აბსცესი ან ტკივილი ანუსში სისხლში შაქრის დონის დარღვევის სიმპტომი > ჰიპერგლიკემია: დაღლილობასთან დაკავშირებული ძლიერი და ხშირი სურვილი ჭამის, სმის და შარდვის > ჰიპოგლიკემია: თავბრუსხვევა, გულისრევა, მხედველობის დაბინდვა, კუნთების სისუსტე ცერებრალური შეშუპების მიმანიშნებელი სიმპტომები > თავის ტკივილები, დაბნეულობა, კრუნჩხვები. მხედველობის დარღვევები



როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
ინფექცია	რეკომენდირებულია პნევმოკოკისა და გრიპის საწინააღმდეგო აცრა : ის თქვენ დაგიცავთ.
წნევის კონტროლი	მაღალი წნევა უნდა გამოსწორდეს. არტერიული წნევის გაზომვა რეკომენდირებულია რეგულარულად. ფარმაცევტებს შეუძლიათ დაგეხმარონ წნევის გაზომვაში. შეგიძლიათ სთხოვოთ, რომ თქვენ თვითონ გაიზომოთ ავტო-წნევის გამზომით.
სტომატოლოგიური ჰიგიენა	გამოიყენეთ რბილი კბილის ჯაგრისი და გამოიყენეთ პირის ღრუს სავლები ნატრიუმის ბიკარბონატით. მოერიდეთ მენტოლის ან ალკოჰოლის შემცველ პირის ღრუს სავლებს
კანის მოვლა	ხელებსა და ფეხებზე: ნაისკით ხელებსა და ფეხებზე დამატენიანებელი კრემი ან რძე და/ან შემახორცებელი კრემი (ძლიერი შეზღუდვის გარეშე). მოერიდეთ ხელებისა და ფეხების სიცხესთან (ცხელ წყალთან) შეხებას. მოერიდეთ აქტივობებს, რომლის დროსაც ხდება ხახუნი ან წარმოიქმნება წრილობები. ნუ ატარებთ ძალიან მოჭერილ ტანსაცმელს, წინდებსა და ფეხსაცმელებს სხეული: ჰიგიენისთვის უპირატესობა მიანიჭეთ რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. მოერიდეთ ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას. მზისგან დასაცავად გამოიყენეთ დიდი ზომის სათვალეები და მოერიდეთ მზეზე გასვლას.
დაღლილობა	ამჯობინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, მებაღეობა, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
კიდურების შებერილობა (შეშუპება)	მოერიდეთ მჭიდრო ტანსაცმელს, წინდებსა და ფეხსაცმელს აანყვეთ ფეხები სიმაღლეზე.
წონა	გააკონტროლეთ რეგულარულად თქვენი წონა კიდურების შეშუპების ან საჭმლის მომნელებელი პრობლემების შემთხვევაში.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალ ბოჭკოვან დიეტას. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. არ მიირთვათ უმი ხილი და ბოსტნეული, რძის პროდუქტები, ყავა და ალკოჰოლი. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
გულის რევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
მადის დაკარგვა	უპირატესობა მიანიჭეთ უფრო კალორიულ საკვებს და „გემრიელ კვებას“.
პირის ღრუს ანთება (წყლულები)	მოერიდეთ მჟავა ან ნებოვანი საკვების მიღებას და ძალიან მარილიან საკვებს.
გემოს შეცვლა	მიიღეთ თბილი ან ცივი საკვები პატარა რაციონით რამდენჯერმე დღეში. მოერიდეთ სამზარეულოს მეტალის ქურჭელს.